



# შირაკი

## SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან

დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№31 (9.891)  
24 - 31 აპრილი 2019 წელი  
ფასი: 50 თეთრი  
ყოველკვირული გამოცემა

### მაღე დედოფლისწყაროს ახალი სპორტული მოედანი და სკვერი ექნება



მმ. 2

### როველი - 2019 ინყება



მმ. 3

### „დადაივის ზურგა არსად არ არის ჩვენს სახობლოზა მრავალფეროვანი და ლაგაი ქვეყანა“ ...

მმ. 6

## როგორ ვებრძვით სიცხეს?

სინოპტიკოსების პროგნოზით, საქართველოში 3 სექტემბერამდე ჰაერის მაღალი ტემპერატურა მოსალოდნელია. მასთან „საბრძოლო ველზე“ საცილობელი რამდენიმე საშუალება მოსალოდნელია.

როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ეს რეკომენდაციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 65 წლის ასაკს ზემოთ ადამიანებისთვის, ახალშობილებისთვის და ბავშვებისთვის. ასევე, იმ ადამიანებისთვის, ვისაც აქვთ ქრონიკული დაავადებები.

„ყურადღებთა ინფორმაცია, რომელიც მივიღეთ მეტეოლოგიური საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი ქსელიდან, სადაც აღნიშნულია, რომ 20 აგვისტოდან, დასლოებით 3 სექტემბრის ჩათვლით, იმ რეგიონში სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, მოსალოდნელია ტემპერატურის ზრდა.“

მთავარი რეკომენდაცია გახლავთ ის, რომ მოვერიდოთ გარეთ მაღალი ტემპერატურის დროს სიარულს და ხშირად გავფრიდდეთ, მივიღოთ სითხე და დავიცვათ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რაც ნიშნავს იმას, რომ ხშირად დავიბანოთ ხელები, - განაცხადა გამყრელიძემ.

მისივე თქმით, მოსახლეობა უნდა მოერიდოს დაბინძურებულ წყალში ბანობას, რადგან ძლიერი სიცხის დროს აქტიურდება სხვადასხვა ინფექცია.

„ასევე, უნდა მოვერიდოთ ისეთი საკვების მიღებას, სადაც არ ვართ გარანტირებული, რომ საკვები ინახებოდა შესაბამის ტემპერატურაზე; დავლით ისეთი წყალი, სადაც ვართ დარწმუნებული, რომ წყალი იყო სუფთა. ზოგადად, სასურველია, რომ ამ დროს, როდესაც ექვი გვეპარება წყლის ხარისხში, მივიღოთ გადადუღებული წყალი ან შესაბამისად ბოთლში ჩამოსხმული წყალი.“ - განაცხადა ამირან გამყრელიძემ. მან ასევე რეკომენდაცია გაუწია მუნიციპალიტეტებს, ქუჩები დაამუშაოთ ე.წ. წყლის გამწვანებელი მანქანებით.

ამასთან, ღვაწლავაშა კონტროლის ეროვნული ცენტრის რამდენიმე რეკომენდაცია:

„შეინარჩუნეთ სახლში სიგრილე; შეეცადეთ საცხოვრებელ გარემოში შეინარჩუნოთ სიგრილე. სახლში ტემპერატურა შეამოწმეთ დღის 08:00 საათიდან 10:00 მდე, 13:00-ზე და ღამით 22:00 საათის შემდეგ. დღისით ოთახის იდეალური ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 32°C, ხოლო ღამით კი 24°C-ს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებისა და 60 წელს გადაცილებული პირებისათვის, აგრეთვე მათთვის, ვისაც ქრონიკული დაავადებები და დარღვევები აქვს; ღამით გააღეთ ფანჯრები და დატოვეთ ღია დილაზე, სანამ გარეთ სიგრილეა; დღისით შეამციროთ სიციხის შეღწევა სახლში - დახურეთ ფანჯრები, ყალბი და დარბები, განსაკუთრებით შხის მხარეს. შეძლებისდაგვარად გამოიყენეთ ელექტრომომწობილები და ხელოვნური განთბობა; ჩამოკიდეთ სველი პირსახოცები, რაც გაფრილებასთან ერთად სახლს დააფრინინებს; თუ სახლში გაქვთ კონდენციონერი, დაკეტეთ კარები და ფანჯრები, რათა ეფექტურად გამოიყენოთ ელექტროენერჯია; ვენტილაციური გამოგადგებათ იმ შემთხვევაში, თუ ტემპერატურა არ აღემატება 35°C-ს. ხოლო თუ ტემპერატურა აღემატება 35°C-ს, ის ვერ მოგისხნით სიცხესთან დაკავშირებულ პრობლემებს; მიიღეთ დიდი რაოდენობით წყალი. განსაკუთრებით რეკომენდებულია მინერალური წყლების მიღება, მარილების მცირე და საშუალო დონის შემცველობით; თავი აარიდეთ სიცხეს; შეარჩიეთ ყველაზე გრილი ოთახი თქვენი საცხოვრებელ სახლში, მათ შორის ღამით ძილისათვის; თუ შეუძლებელია სახლში სიგრილის შენარჩუნება, შეეცადეთ დღის 2-3 საათი გაატაროთ გრილ ადგილას (მაგალითად რომელიმე საზოგადოებრივ შენობაში, სადაც ჰაერი კონდენციონერით გრილდება); მოერიდეთ ქუჩაში გასვლას დღის ყველაზე ცხელ პერიოდში; მოერიდეთ მაღალინტენსიურობის ფიზიკურ დატვირთვას; დაისვენეთ ჩრდილში და თავი აარიდეთ შხის გულზე ყოფნას; არ დატოვეთ ბავშვები და მინარჩი ცხოველები პარკირებულ სატრანსპორტო საშუალებებში; გაიფრთხილეთ სხეული და დაიცავით ორგანიზმი გაუწყლოებისგან; მიიღეთ გრილი შხაპი, ან გამოიყენეთ ყინულის პაკეტები, სველი პირ-

სახოცი და სხვა; ქუჩაში გასვლისას ატარეთ ნატურალური მასალის, ღია ფერის, თავისუფალი ტანსაცმელი, ფართოფარფლებიანი ქუდი ან კეპი, ან ქოლგა, და მზისგან დამცავი სათვალე; მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე, გარდა ალკოჰოლის, ტუბილი და კოფეინიანი სასმელებისა; საკვები მიიღეთ ხშირად და მცირე ულუფებით. მოერიდეთ ცილის მაღალი შემცველობის მქონე პროდუქტებს; დაეხმარეთ სხვებს;

ცხელ ამინდში ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები გაცანით თქვენს ახლობლებს - ოჯახის წევრებს, მეგობრებს, მეზობლებს, განსაკუთრებით მათ, ვინც მარტონი არიან; ოჯახში განიხილეთ, თუ როგორ იმოქმედოთ მაღალი სიცხის დროს ექსტრემალურ პირობებში, რათა ყველამ იცოდეს, თუ როგორ დაეხმარონ საკუთარ თავსაც და სხვა ადამიანებსაც; თუ იცნობთ ავადმყოფ ან მართლმალა სანდაზმულს, რომელსაც სირბილა თქვენს მიხედვით დასაბრუნებელია, მოინახულეთ ყოველდღობა; თუ იცნობთ, რომ აღაპირად ყოველდღობა იღებს რომელიმე მიღამს, კითხეთ მის გარდასახულ ექიმს, ნაგალი ხომ არ მოქმედებს ორგანიზმის თერაპიულად ან სითხის გალანსა; თვალყური ადევნეთ აინფორმაციის პროგნოზს ტელევიზიის, რადიოს ან ინტერნეტის საშუალებით;

თუ იცნობთ თავ-პრესხვას, სისუსტე, ფორიაზი, კლიბი წყურპილი ან თავის ტკივილი, სასწრაფოდ მოთხოვეთ გრილ ადგილას და განთავსდით სწორი ტემპერატურა; მიიღეთ წყალი ან ხილის ნატურალური წვენი; თუ გაქვთ კუნთების გტკივნილი სახე-მი (ბასაპთირაბი უნდა იქნას, ხელახლა ან გუცაღა), საირაო უნდა იქნას მიღებული პამცვალი სხარაბის მიღება. თუ აღნიშნული სიმპტომები არაა სათანო მიზეზის გამო, მიღება მიღება; თუ პინგინი უნდა იქნას მიღებული და ეს სიმპტომები დიღანს ნარჩუნდება; თუ პინგინი თავი შეუქლო იბრძო, მოსალოდნელია განაღვივებით გრილ ადგილას. მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე; მიბარეთ ექიმს, თუ თქვენ ან სხვა პირსახვას ადამიანებს სუნთქვის პრობლემა, ტკივილი გულში ან სუნთქვის პრობლემა; - ნათქვამია რეკომენდაციებში.



ბრაზილიაში, ამაზონის ტყეებში გაჩენილი ხანძრების ინტენსივობა რეკორდულ მაჩვენებლებს აღწევს. ქვეყნის კოსმოსური კვლევის ცენტრის თანახმად, 15 აგვისტოს შემდეგ ხანძრის ახლა, 9500 კერა გაჩნდა.

სტიქია იმდენად ძლიერია, რომ მისი ეფექტი სატელიტიდან გადაღებულ მასალაშიც კარგად ჩანს. კვამლი ქვეყნის თითქმის ნახევარს ფარავს.

უკვე რამდენიმე დღეა, რაც „დედა-მინის ფილტვებზე“ ნოდებული ამაზონის ტყე იწვის. მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკოსისტემა განადგურების პირასაა და ვერ-ვერობით მისი გადარჩენა ვერ ხერხდება. მსოფლიოში ცნობილი ვარსკვლავები გამოეხმაურნენ ტრაგედიას. სოციალურ ქსელში უამრავი ადამიანი წერს და აზიარებს ფოტოებს დამაშინებელი ცხოველების შესახებ. თუმცა, ძალიან ბევრმა ადამიანმა მაინც არ იცის, თუ რატომ არის ამაზონის ტყეები ასეთი მნიშვნელოვანი. ამ სტატიაში შეგიძლიათ გაეცნოთ საინტერესო ფაქტებს ამაზონის ველური ბუნების და მისი „სარგებლის“ შესახებ.

დავიწყეთ იქიდან, რომ ამაზონის ტყე არის ულამაზესი ეკოსისტემა.

ტყეში ტემპერატურა 10-12 გრადუსია, რაც ამაზონის ტროპიკულობას განაპირო-

## დადაივის ფილტვები იწვის

ბებს და მის კლიმატს ეკვატორულსაც კი უწოდებენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ტყეში მათიარსა და ზაფხულს შორის მკვეთრ განსხვავებას ვერ შენიშნავთ, რადგან ამ ორ სეზონს შორის განსხვავება მხოლოდ 2 გრადუსია. მაგრამ მეტად გაგივირდებათ თუ გაიგებთ რომ, ზამთარ-ზაფხულს შორის მცირე განსხვავების მოუხედავად, დღესა და

ღამის ტემპერატურას შორის სხვაობა 2-5 გრადუსამდე მერყეობს.


ამაზონის ტყეში არ არსებობს „მშრალი“ სეზონი. იქ პირდაპირი მნიშვნელობით მუდმივად წვიმს და არასდროს არის მშრალი დღეები.

გარდა უნიკალური ბუნებისა, ამაზონი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ტყის ტე-

რიტორიაზე 500-მდე ადგილობრივი ტომი ბინადრობს. ისინი ინახავენ ამაზონის საიდუმლოებებს, ყველაზე უკეთ იციან ადგილობრივი ტერიტორიები, უჩვეულო მოვლენები თუ სხვა ისტორიები, რომლებიც ტრადიციებით ნინაპრებისგან გადმოეცემათ.

შემდეგი, რაც ახსნის, თუ რატომ არის ამაზონის ჯუნგლები „დედამინის ფილტვებად ნოდებული“, არის ხეები. იცოდით, რომ ამაზონის ტროპიკულ ტყეებში 4 ჯერ მეტია ხე, ვიდრე ირმის ნახტომის გალაქტიკაში?

ეს უკანასკნელი კი, ბოლო კვლევების მიხედვით, 400 მილიარდამდე ვარსკვლავს შეიცავს. ეს უნიკალური ხეები, ყოველდღობად ატმოსფეროში 20 მილიარდამდე ტონა ნესტს გამოყოფს, რაც დედამიწას ატენიანებს. ტყიდან გასული მდინარეები კი მსოფლიოს 1/5 სუფთა წყლით ამარაგებს. გარდა ამისა, ამაზონის ტყის ხეების საშუალებით, ატმოსფეროდან 20% ჟანგბადს ვიღებთ. სწორედ ამიტომ და კიდევ სხვა მრავალი მიზეზის გამო, ტროპიკული ტყეები კლიმატის ცვლილებასთან და გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღია.



# სალომე ზურაბიშვილი - დარწმუნებული ვართ, რომ ევროპა მთლიანი და თავისუფალი იქნება, ხოლო საქართველო მისი ნაწილი გახდება

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ევროპა მთლიანი და თავისუფალი იქნება, ხოლო საქართველო მისი ნაწილი გახდება, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა, ვილნიუსში, პრეზიდენტ ვალდას ადამკუსის ყოველწლიურ კონფერენციის გახსნაზე განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ვილნიუსსა და საქართველოს, გეოგრაფიული მდებარეობის გარდა, „უამრავი საერთო რამ აკავშირებს“.

„ნამდვილად დიდი პატივია რომ ვიმყოფები აქ, უკვე მეორედ და მაქვს შესაძლებლობა პირადად მოგილოცოთ თქვენ ბატონო პრეზიდენტო. მე ვიმყოფები ქვეყანაში, რომელიც არის არა მხოლოდ საქართველოს მეგობარი, არამედ ქვეყანა, რომელთანაც ჩვენ უამრავი საერთო რამ გვაკავშირებს. თუ გეოგრაფიულ კონტექსტში განვიხილავთ - ორივე ქვეყანა მდებარეობს ევროპის ზღვარზე. თუმცა, თქვენ ევროპაში იმყოფებით, ჩვენ კიდევ კვლავ მის გარეთ ვართ. მაგრამ უამრავი საერთო გვაქვს: მე-18 საუკუნის ბოლოს, ორივე ქვეყნის ძალისხიერი ინტეგრირება მოხდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, რასაც თან სდევდა რუსიფიკაციის პოლიტიკა და რამაც საბოლოოდ ჩვენი ეროვნული იდენტობის განმტკიცება და ენის დაცვა განაპირობა, აგრეთვე თავისუფლების მიმართ სიყვარული, რაზეც თქვენ ახლახანს ისაუბრეთ. ორივე ქვეყანამ დამოუკიდებლობა კვლავ 1918 წელს მოიპოვა. ორივე ქვეყანას პირველი დემოკრატიული და ძლიერი ევროპული კონსტიტუციები გააჩნდათ, რომლებიც 1920-1922 წლებში იქნა მიღებული. საქართველოსთვის ეს ნიშნავდა ქალებისთვის ხმის მიცემის უფლებას და უფლებას თავად ყოფილიყვნენ არჩეულნი. ამდენად, ჩვენ ქართულ პირველ ეროვნულ პარლამენტში 5 ქალი წარმომადგენელი გვყავდა, რასაც ბევრი ევროპული ქვეყანა ხანგრძლივი დროის ამძიძიებელი ელოდა. ჩვენს პირველ კონსტიტუციაში უმცირესობათა უფლებების დაცვაც იყო უზრუნველყოფილი, 2 დღეში სწორედ ამ კონსტიტუციის დღე უნდა აღინიშნოს საქართველოში. აღნიშნავთ პირველი, ძალიან დემოკრატიული კონსტიტუციის დღე, რასაც კიდევ უფრო დემოკრატიული კონსტიტუციების მიღება მოჰყვა“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

როგორც სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით, თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 28 წლის შემდეგ, ამ გზაზე სვლა კვლავ გრძელდება.

„ორივე ქვეყანამ ერთა ლიგას განეწიანების თაობაზე ერთდროულად მიმართა: 1922 წელს ლიეტუვა განეწიანდა, თუმცა სამწუხაროდ, რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია ერთა ლიგის მიერ განწყვეტილების მიღებამდე მოახდინა - ის ხვედრი, რომელიც თქვენც გაიზიარეთ, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ - 1940 წელს. ასევე მსგავსია ჩვენი გზა თავისუფლებისკენ, რომელიც საბჭოთა რეჟიმის ქვეშ მიმდინარეობდა: რომელიც ენის, ეროვნული თვითმყოფადობის დაცვით დაიწყო და ეროვნული პროტესტის და მოძრაობის გამოხატვის გაგრძელება - ბალტიის გზა, რასაც თქვენ აღნიშნავთ. ჩვენთან ეს 1989 წლის 9 აპრილს მოხდა, რომელიც სამწუხაროდ, სასტიკად იქნა რეპრესირებული. პროტესტის გამოხატვის ამ ფორმებმა ჩვენი ქვეყნები 1991 წელს თავისუფლებასთან და დამოუკიდებლობის მოპოვებასთან მიიყვანა. თუმცა, ჩვენი პარალელური გზა აქ არ სრულდება. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ 13 წელზე მცირე ვადაში შეძელით ევროკავშირში განეწიანება. საქართველო, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ამ გზას დაუყოვნებლივ დაადგა. ქვეყანამ ნამდვილად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით, თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 28 წლის შემდეგ, ამ გზაზე სვლა კვლავ გრძელდება.

ამისთვის მრავალი მიზეზი არსებობს. უფრო მეტად ეს განპირობებულია იმ გარემოს გამო, რომელიც ჩვენ ვიმყოფებით და არა იმიტომ, რომ საქართველო ძალისხმევას იშურებდა. ამის აღწერა ჩვენ არ გვჭირდება, რადგან ყველასთვის ცნობილია გარემო, რომელიც საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ კონფლიქტით დაიწყო, რაც 2008 წლის ომამდე გაგრძელდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ თქვენს უკან ვართ, ჩვენ ვართ თავდაჯერებული, რომ თქვენი სვლებით განვაგრძობთ გზას და დარწმუნებული ვართ, რომ ევროპა მთლიანი და თავისუფალი იქნება, ხოლო საქართველო მისი ნაწილი გახდება“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

# მალე დედოფლისწყაროს ახალი სპორტული მოედანი და სკვერი ექნება



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ დედოფლისწყაროელ ახალგაზრდებს კიდევ ერთი საჩუქარი გაუკეთა და ახალ სასწავლო წელს ქ. დედოფლისწყარო ახალი, მრავალფუნქციური სტადიონით შეხვდება.

ბარათაშვილის ქუჩაზე მინი სპორტული მოედნისა და საბავშვო-გასართობი პარკის მოწყობა დასკვნით ეტაპზეა. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, საბავშვო-გასართობი სექტორში კი დამონტაჟდება ატრაქციონები.

„მუნიციპალიტეტის ხელისუფლების უმთავრესი პრიორიტეტი მომავალ თაობაზე ზრუნვაა. ახალგაზრდებისთვის სპორტული და გასართობი ზონების მოწყობა მომავალშიც გაგრძელდება. აღნიშნული პროექტიც ამ გეგმის ნაწილია“ - აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

# სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლას რეაბილიტაცია უტარდება



სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაცია დაიწყო.

მიმდინარე რემონტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა სამუქაშვილმა დაათვალიერეს.

პროექტის ფარგლებში სკოლას კიდევ 2 ახალი საკლასო ოთახი და სათავსო შეემატება.

დღესვე მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლას ეწვივნენ, რომლის რეაბილიტაციაც აქტიურ ფაზაშია.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, არბოშიკის და დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურული სამუშაოები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დასრულდება

# უთრუთაანთ უბნის გზის რეაბილიტაცია

არბოშიკში, ე. წ. „უთრუთაანთ უბნის“ გზას სრული რეაბილიტაცია უტარდება. პროექტის ფარგლებში აღნიშნული გზისა და მიმდებარე ჩიხების მონაკვეთებზე დაეგება ასფალტის საფარი და მოეწყობა სანიავრო სისტემა.

გზის სამშენებლო სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, გოჩა სამუქაშვილთან ერთად დაათვალიერა.

პროექტი სექტემბრის ბოლოს დასრულდება.

# მამუკა ბახტაძე მინსკის საავტომობილო ქარხანაში იმყოფებოდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე მინსკის საავტომობილო ქარხანაში იმყოფებოდა. პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავრობის მეთაურმა ავტოქარხნის ტერიტორიაზე ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქცია დაათვალიერა.

აღსანიშნავია, რომ ბელარუსულმა ჰოლდინგმა Belkommunmash გაიმარჯვა ბათუმის ავტომობილების ტენდერში, რომლის საფუძველზეც ბელარუსის მხრიდან რვა ელექტროავტომობილის შესყიდვა მოხდება.

# 6000-მდე პენსიონერი პედაგოგი სკოლიდან წასვლის სანაცვლოდ ფულად ჯილდოს მიიღებს

პირველ ეტაპზე დარეგისტრირებული 6000-მდე პრაქტიკოსი პენსიონერი პედაგოგი ფულად ჯილდოს მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისში მიიღებს.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცნობით, ფულად ჯილდოსთან დაკავშირებით საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლების რეგისტრაციის პირველი ეტაპი დასრულდა.

მინისტრის მოადგილე ირინა აბულაძემ თემასთან დაკავშირებით გამართულ პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ პირველ ეტაპზე 6 000-მდე მასწავლებელი დარეგისტრირდა, რაც საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი პედაგოგების ნახევარს შეადგენს.

მისი თქმით, მასწავლებლები, რომლებმაც ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე პროფესიიდან გასვლა გადაწყვიტეს, ორი წლის ხელფასის ჯაბურ ოდენობას მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისშივე მიიღებენ. ამასთან, მათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეუნარჩუნდებათ პედაგოგის ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი - ამ მიმართულებით ხორციელდება ცვლილებები შესაბამის ნორმატიულ აქტებში.

ამასთან, საპენსიო ასაკის პრაქტიკოს პედაგოგებს ჯილდოს მისაღებად ნების გამოხატვა 2019 წლის ბოლომდე შეუძლიათ. შესაბამისად, ჯილდოს გაცემის მეორე ეტაპი წლის ბოლოს განხორციელდება.

ირინა აბულაძის განცხადებით, ამ ფორმით, სახელმწიფო საპენსიო ასაკს მიღწეული მასწავლებლების მიმართ, მადლიერებას გამოხატავს მათი მრავალწლიანი ფასდაუდებელი პედაგოგიური საქმიანობის გამო.

# საქართველოში წარმოებულ ელექტრომობილს „ორვო“ ერქმევა

საქართველოში წარმოებული ელექტრომობილების პირველი ბრენდის სახელი უკვე ცნობილია. ამის შესახებ დიზაინერი, გამომგონებელი ზვიად ციკოლია „ფეისბუქს“ პირად გვერდზე წერს. ცნობისთვის, პირველი ქართული ელექტრომობილის დიზაინზე სწორედ ზვიად ციკოლია მუშაობს. მისი ცნობით, ბრენდს „ორვო“ ერქმევა, რაც ძველ კოლხურად რვას, უსასრულობას ნიშნავს. მისი ავტორი კი ციკოლიას თქმით, გიგა ხატიაშვილია. როგორც ციკოლიამ „ბიზნესპრესნიუსს“ განუცხადა, „ორვო“ ერქმევა ქარხანასაც.



შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის ივნისში ინდუსტრიული ჯგუფი „აი გრუფის“ მიერ ქუთაისში, საქართველოს ისტორიაში პირველი ელექტრომობილების მწარმოებელი ქარხნის პროექტის ოფიციალურ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა სთითა თურნავამ განაცხადა, ქუთაისში წარმოებულ ელექტრომობილები არა მხოლოდ საქართველოს ბაზრისთვის იქნება განკუთვნილი. პროექტის თანახმად, ინდუსტრიული ჯგუფი „აი გრუფი“ ქუთაისში ინდუსტრიული კომპლექსის მშენებლობას იწყებს, რომელიც 100 ჰა ფართობზე განთავსდება. პირველი პროექტი ელექტრომობილების სანარმოა, სადაც სანყის ეტაპზე დაახლოებით 300 ადგილობრივი მოსახლე დასაქმდება, ხოლო სანარმოს წარმადობა იქნება 5000 ელექტრომობილი. პროექტი ხორციელდება მსხვილი ჩინური კორპორაციის „ჩანგანის“ პარტნიორობით.



# ენა, როგორც აზრების ჩამოყალიბებელი

გიფიქრითა თუ იმპულსით, რა მოხდება... თუ რომელიმე კონკრეტულ უნარს დაკარგავდით? არავინ ამბობს, რომ რომელიმე უნარი არ არის საჭირო. პირიქით, რა თქმა უნდა, ყველა კონკრეტული უნარი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ამ კითხვებზე პასუხისას ადამიანების უმეტესობა სხვადასხვა რამეს ასახელებს. მეტყველების უნარს არქონას კი სპონტანურად პრაქტიკულად არავინ პასუხობს. ენა გადმოსცემს აზრს, მაგრამ განსაზღვრავს თუ არა ის აზროვნებას?

მსოფლიოში დაახლოებით 7000 ენაზე საუბრობენ. ზოგიერთი მათგანი გაქრობის პირასაა, ზოგიერთი უკვე გაქრა კიდევ. არსებულ ენებს, რა თქმა უნდა, განსხვავებული ლექსიკა, ფონოლოგია და სტრუქტურა აქვს. „ლინგვისტური მრავალფეროვნების სიღრმე იმპი მდგომარეობს, რომ ის გვიჩვენებს, თუ რამდენად მოქნილი და შემოქმედითად ადამიანის გონება. მან შექმნა არა ერთი, არამედ 7000 კონკრეტული სამყარო“ - ამბობს ლინგვისტოლოგი, კონკრეტული მეცნიერების პროფესორი და ლინგვისტური რელატივიზმის თეორიის ერთ-ერთი თანაავტორი. ენისა და აზროვნების კავშირზე ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში მსჯელობდნენ, შემდეგ ეს თემა შუა საუკუნეებშიც გაგრძელდა და ნაკლებ ყურადღებას არც თანამედროვე სამეცნიერო წრეებში იქცევს. უძველესი დროიდან მეცნიერები ყურადღებას ენიას და აზროვნების ერთმანეთთან დამოკიდებულებას აქცევდნენ. ამაზე, მე-18 საუკუნის ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის, ემანუელ კანტის სიტყვები თავისთავად მეტყველებენ: „თითოეული ენა აზრების აღნიშვნას, ენის გამოყენება კი - საკუთარი და სხვების გაგების უდიდესი საშუალება.“ ენასა და აზრებს შორის კავშირი არც ისეთი მარტივია. მიიჩნევა, რომ ენის მიზანი აზრების გადაცემა ერთი გონებიდან მეორეში. და ეს, ასეა. თუმცა, საკითხი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. ოქსფორდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ენა, რომელზეც ესა თუ ის ხალხი ლაპარაკობს, მოქმედებს იმაზეც, თუ როგორ ფიქრობენ ისინი. მაგალითისთვის, შეგვიძლია ავიღოთ ფერების გამოხატვითი ტერმინები. ისინი შესაძინებელი ვარირებენ ერთი ენიდან მეორეში და ეს მხოლოდ დასახელებები

არაა, სხვადასხვა ენაზე მოსაუბრეები სხვადასხვანაირად აღიქვამენ ფერებსაც. ლერა ბოროდიტსკის მიერ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში, ის აღნიშნავს შემდეგ: ინგლისურს აქვს ერთი სიტყვა ლურჯი (ბლუ), რომელიც გამოხატავს ყველა იმ ფერს, რომელიც ამ სპექტრშია, მაგრამ, ინგლისურენოვანი ადამიანებისგან განსხვავებით, რუსებს ამ ფერებისთვის მხოლოდ ერთი სიტყვა არ აქვთ. რუსულენოვან ადამიანს უნდა ერთმანეთისგან განასხვავოს ცისფერი (голубой) და ლურჯი (синий), ამიტომაც რუსებს მეტყველებაში ამ ფერების გარჩევის ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ. ლერა ბოროდიტსკი ამბობს, რომ თუკი ექსპერიმენტით შევამოწმებთ ცდის პირების უნარს, განასხვავონ ერთმანეთისგან ფერები, აღმოვაჩენთ, რომ რუსებს ეს უფრო სწრაფად გამოსდით. მათ უფრო სწრაფად შეუძლიათ ცისფერისა და ლურჯის ერთმანეთისგან გარჩევა. თუკი ცდაში მონაწილე ადამიანების ტვინს დავაკვირდებით და ფერებს ნელ-ნელა ღიადან მუქისკენ შევცვლით, მათ ტვინში, ვინც ცისფერისთვის და ლურჯისთვის სხვადასხვა სიტყვას იყენებს, გაოცებას შევამჩნევთ.

კიდევ რამდენიმე მაგალითი: არ არსებობს ინგლისური ეკვივალენტი გერმანული სიტყვისა სეპტუცატ (უკმაყოფილება არასრულყოფილი რეალობის გამო, რომელიც შერწყმულია იდეალის პოვნის სევედასთან). ასევე არ არსებობს ინგლისურში პორტუგალიური სიტყვის ეკვივალენტი, რომლითაც დაკარგულ სიყვარულს ან რაიმეს ეპყრობიან, რასაც ველარასდროს დაიბრუნებ. ინგლისურ ენას აქვს სიტყვა ბავშვებისთვის, რომლებმაც მოძლები დაკარგეს (ობოლი) და სიტყვა მუღღებისთვის, რომლებსაც მეორე ნახევარი გარდაცვალა (ქერივი), მაგრამ არ აქვს სიტყვა მშობლებისთვის, რომლებმაც შვილი დაკარგეს. ჩვენ ხშირად ფიქრობთ იმაზე, რომ შეუძლებელია სიტყვებით გამოხატო, მაგალითად მანგოს სურნელი და გემო, ჩიტების დილის სიმღერა და ა.შ. ეს ცხოველებისა და ახალშობილების აზრებს შვავს, ისინი ამას ფლობენ, მაგრამ სხ-

ვებამდე მიტანა არ შეუძლიათ. ლათინურს არ აქვს პირდაპირი თარგმანი სიტყვებისა „დიას“ და „არა“. ხოლო ძველბერძნულს, როგორც სხვა ბევრ ძველ ენას არ ჰქონდა ფერების ლექსიკური გამოხატულობა, მაგრამ სამაგიეროდ ჰქონდა რამდენიმე სიტყვა სიყვარულისთვის. ლერა ბოროდიტსკი თავის სტატიაში, ამბობს, რომ „მზე“ გერმანული ენისთვის მდებარეობს, მაგრამ მამობითაა ესპანურისთვის, ხოლო „მთვარე“ კი პირიქითაა. შეიძლება თუ არა ამას გავლენა ჰქონდეს იმაზე, თუ როგორ აზროვნებს ეს ხალხი? აღიქვამენ თუ არა გერმანულად მზეს, როგორც უფრო ქალურს და მთვარეს, როგორც უფრო მამაკაცურს? აღმოჩნდა, რომ ზუსტად ასეა.



მაგალითად, თუკი გერმანულს და ესპანულს ვთქვით, აი ასეთი ხიდის დახასიათებას ვთხოვთ (არსებით სახელ ხიდს გერმანულ ენაში მდებარეობს სექსი აქვს, ხოლო ესპანურში — მამობითი), გერმანულში, ხიდის დახასიათებისას უფრო ხშირად გამოიყენებენ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა „ლაპაზი“, „ელეგანტური“, ანუ ფემინურ ზედსართავებს, მაშინ, როცა ესპანულში გამოიყენებენ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა „ძლიერი“ ან „გრძელი“ - მოკლედ, მასკულიურად აღწერდნენ.

მეტყველება ადამიანისთვის უნიკალური საწყობია. მისი როლის გაგება გვეხმარება ადამიანური ბუნების გაგებაშიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ენას სამყაროს შესახებ ცოდნის ამაღლებაც შეუძლია. ურთიერთობები ენის გარემოც შესაძლებელია,

მაგრამ ენა გვადლევს იმას, რაც მხოლოდ ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი. ის აძლიერებს ჩვენს აღქმას, ყურადღებას გვაძლავს მხილებს რეალობის სხვადასხვა ასპექტებზე და აყალიბებს ჩვენს კონკრეტულ უნარ-ჩვევებს. ენა არა მხოლოდ ასახავს ფიქრებს, არამედ ახდენს მის რეალიზებას რეალურ ცხოვრებაში, ქმნის ჩვენს კულტურას. თუ ამ თემაზე არსებულ დებატებს არ ჩავთვლით, მოგვიწევს ვაღიაროთ, რომ ემპირიული სამუშაო კვლევები ამ თემაზე სულ ცოტა ხანია რაც გამოჩნდა და ის საკმაოდ ცოტაა. დღის განმავლობაში ჩვენ ათასობით მარტივ, აღქმისმიერ გადამწყვეტილებას ვიღებთ. ენა ახერხებს, რომ მიღწიოს და ჩაერიოს ამ თითქოს და

უმნიშვნელო გადამწყვეტილებებში. ეს ნიშნავს, რომ ენას შეუძლია განსაზღვროს, თუ რას ვფიქრობთ ყველაფერზე, რასაც შეგვიძლია არსებითი სახელი ვუწოდოთ.

ლერა ბოროდიტსკის სტატიაში ვკითხულობთ: „ენა, რაღა თქმა უნდა, ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც შეგვიძლია, შევცვალოთ და ჩვენს საჭიროებებს მოვარგოთ. ტრადიციული ნაწილი ისაა, რომ ყოველდღიურად ჩვენ ვაკრავთ ამ ლინგვისტური მრავალფეროვნების ნაწილს - კვირაში ერთი ენა უჩინარდება და, ზოგიერთი ვარაუდით, შემდეგი საუკუნის განმავლობაში მსოფლიო ენების ნახევარი გაქრება. კიდევ უფრო ცუდი ამბავი ის არის, რომ თითქმის ყველაფერი, რაც ადამიანის გონებასა და ტვინზე ვიცით, დაფუძნებულია, როგორც წესი, ამერიკული ინგლისურენოვანი მეცნიერების კვლევებზე. ეს კრიტიკიუმი გამორიცხავს თითქმის ყველა ადამიანს. ესე იგი, ყველაფერი, რაც ვიცით ადამიანის გონებაზე, სინამდვილეში უკიდურესად ვიწრო და მიკროსკოპულია - მეცნიერებმა მუტი უნდა შეძლოს! ეს გეგებათ თქვენ, თქვენს აზროვნებას, თქვენს ენას და ეს გაძლევთ შესაძლებლობას დასვათ კითხვები: „რატომ ვაზროვნებ ისე, როგორც ვაზროვნებ?“ „როგორ შემიძლია სხვანაირად ვაზროვნებ?“ და „როგორ მინდა, რომ ვაზროვნებდე?““

მომავლად  
შუშუნა ყანაშვილი

## ზოგჯერ დუმილი საუბარზე უფრო მეტია...

სხვა ვერ გაიგებს, სხვა ვერ იგრძნობს, სხვა ვერ ახსნის, თუმცა პოეზიის ენას ახსნა სულაც არ სჭირდება, ის თავად ახსნის ბევრ რამეს, როცა გაითავისებს ადამიანს, როცა პოეზია ადამიანში შეადგენს... როცა...

ხმას აქვს სიდიდრე, სიხშირე და კიდევ სხვა ფიზიკური მახასიათებლები... სიჩუმე? დაფიქრებულხარით როდესაც — რა ძალა აქვს სიჩუმეს? ძნელი ნარმოსადგენია... სიჩუმე ხომ ხმის უქონლობაა, როგორ შეიძლება მას რამე ძალა გააჩნდეს... არადა,

კავშირების დროს. საუბრის დროს სიჩუმე შეიძლება აღქმული იქნას, როგორც ყოყმანის, ბოდიხით ლაპარაკის, წინასწარ განზრახული საუბრის შეწყვეტის მიზეზი, იმისათვის რომ იდებო „გასუფთავდეს“. ეს ხანმოკლე სიჩუმეა...

კულტურული ნორმების თანახმად, სიჩუმე შეიძლება განიხილებოდეს, როგორც დადებითი, ასევე ნეგატიური მოვლენა. მაგალითად, ქრისტიანულ მეთოდური რწმენის ორგანიზაციაში სიჩუმე ქადაგების დროს დაფასებულია ჯგუფის მიერ, თუმცა, სამხრეთული ბაპტიტური ეკლესიის მიხედვით, სიჩუმე შეიძლება ნიშნავდეს განსხვავებულს, იმას, რაც უნდა ითქვას, ანუ შესაძლოა, აღიქმებოდეს შეკრებილი თემებისგან სანინალდემო „მოსაზრებად“.



**შასაჟი და სიჩუმე**  
დახურულ ტუჩებზე თითის დადება არის ფართოდ

თურმე შეიძლება...სიჩუმე — ეს არის ხმის პაუზა, სინყარე, დუმილი...სიჩუმე — სრული არარსებობა რაიმე სახის ხმისა, ანუ სმენითი სისტემის გარეგანი გალიზიანებისა. ზოგჯერ ალერგიებიში სიჩუმეს უწოდებენ არა სრულიად სინყარეს ხმოვანი გარემოცვისა, არამედ ნაწილობრივ, შედარებით, მაგალითად, ბუნების სიმშვიდე, სინყარე, კონტრასტირებულს მეგაპოლისის მაღალ ხმაურთან. სიჩუმე ასევე გამოიყენება, როგორც კომუნიკაცია, როგორც ცნობა არავერბალურ კომუნიკაციაში და სპირიტუალური

გავრცელებული სიჩუმის ფესტი. ფესტი შეიძლება გამოყენებული იყოს სიტყვების თუ ხმამაღალი მითითებების გარეშე სიჩუმის მოთხოვნისათვის. დახურულ ტუჩებთან დახატული ვარდი, სიჩუმის ერთ-ერთი ცნობილი სიმბოლოა, რომელიც სხვადასხვა მითოლოგიაში წარმოიშვა.

დასავლურ კულტურებში ზოგჯერ ძნელია განმარტო ის მესიჯი, რომელიც ჩუმად მყოფი (რომელიც არ ლაპარაკობს) ადამიანისგან მოდის. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ: ის გაბრაზებულია, მტრულად არის

განწყობილი... შესაძლოა, მისი სიჩუმე ბევრი სხვა ემოციის გამოხატულებაც იყოს. მაგალითად, დასავლური კულტურის ხალხი უხერხულობას გრძნობს, როდესაც სიჩუმეა წვეულებასა თუ სხვა სახის შეხვედრაზე. ამ დროს ისინი ყოველთვის ცდილობენ, რომ ეს სიჩუმე პატარ-პატარა საუბრებით შეავსონ.

**დუმილი მუსიკა**  
მუსიკა, ჩვეულებრივ, დამოკიდებულია განსხვავებული ფორმის პაუზებზე. ის განარჩევს სხვადასხვა ხმებს ერთმანეთისგან და მსმენელს აძლევს საშუალებას აყვეს დინამიკას, მელოდისა და რითმს.

**დუმილი დებატები**  
კამათის, დებატების დროს დუმილი არის რიტორიკული პრაქტიკა — არაფერი თქვა, როცა ოპონენტი შენს ნათქვამს ელოდება. „ცუდად შესრულებული დუმილი“ შეურაცხმყოფელია, მსგავსად იმისა, როდესაც უარს ამბობ პასუხი გასცე მთავარ შეკითხვას. „კარგად კონტროლირებული“ სიჩუმე კი შეიძლება მთლიანად დამარცხოს ოპონენტი, დებატების მონაწილემ ხელები აწიოს და დაწებდეს!

**დუმილი სიჩუმე**  
გარკვეულ ქვეყნებში დუმილის უფლება არის ლეგალური უფლების დაცვა, რომელსაც ხალხი პოლიციის მხრიდან დაკითხვის ან სასამართლო პროცესის დროს იყენებს. კანონი მკაფიოდ აყალიბებს და აღიარებს მას, როგორც ლეგალურ მეთოდს. სიჩუმის უფლების დარღვევა წარმოადგენს საერთაშორისო სამართალდარღვევას.

**სპირიტუალიზმი**  
მდუმარე გონება, ფიქრების გაშმაგებული მეტევისგან გათა-

ზომჯერ დუმილი საუბარზე ბევრად მეტია... ზომჯერ დუმილი დაბანახებს სულის სარკმელს... ზომჯერ დუმილი აპინჯული სიტყვის მიძინა-ყალბა რომ გაკვირს, გულში ხშირად რომ ჩაბახებდეს... ზომჯერ დუმილზე ბავშვი იცის, ძალიან ბავშვი და ამიტომაც მისი ფასი ბავშვად ძვირია... ზომჯერ ასეა-დუმილისთან სწავლაში ძი ბავშვის, დუმილი სულში ჩარჩინილი ოძროს სხივია!..

ია ნანეიშვილი

ვისუფლებული სულიერი განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. „მინაგანი დუმილი“ არ არის მხოლოდ ხმაურის უქონლობა. ის გაგებელია, როგორც კავშირი ნიანსნარმეტყველებასთან.

**სამხსოვარი დუმილი**  
ეს არის ფესტი, გაისხნო ტრადიციული შემთხვევა ან დაღუპული ადამიანის სული და პატივი მიაგო მის სხოვნას. ეს არის სამსახოვრო დუმილის მიზანი. მისი ხანგრძლივობა არის ერთი ან მეტი წუთი, როდესაც არავინ საუბრობს და იხსენებს რაიმე შემთხვევას. სამსახოვრო დუმილი შეიძლება გაიმართოს სამუშაო ადგილებში, სკოლებში და მსგავს დაწესებულებებში.

\* \* \*  
სიტუაცია განსაკუთრებით მაშინ მიძიდება, როცა პაერში გულწრფელობის გულწრფელი მიმი ტრიალებს. ქვეყანაში, სადაც ყველა მხოლოდ ლაპარაკობს, ლაპარაკობს დაუსრულებლად, ლაპარაკობს უმიზეზოდ და უშედეგოდ, ლაპარაკობს ყველაფერზე, ლაპარაკობს დადებით და უარყოფით კონტექსტში, ლაპარაკობს გაუზრებლად, ლაპარაკობს სისულელეს, ცხოვრება აუტანელი ხდება!  
მერე რა, რომ ირგვლივ ქოხია, ყველა ხმაურობს. ამ ხმაურით ზოგიერთი მათგანი ხერხსაც ნახულობს და ირგვლივ მყოფთა

შორის განსაკუთრებული სახელით და სტატუსით სარგებლობს. მერე რა, რომ ხშირად საკუთარ თავს და შესაძლებლობებს გადამეტებულად ვაფასებთ, მერე რა, რომ ჩვენზე უკეთესებს ვჩაგრავთ და ვცდილობთ მივჩქმალოთ, დავაქინოთ (ეს ადამიანური მომენტია). მერე რა რომ ის, ვისი ხმაც საჭიროა, დუმს... არსებობენ ადამიანები, ვინც მათ დუმილს ისმენს, და ის ყველანაირ ხმაურზე მეტად ყლერს, ყველანაირ ხმაურზე მეტად ისმის! და რაც მთავარია, ყველაზე მეტს ამბობს. ალბათ, ამამა დუმილის საიდუმლოც!

და, მაინც, თქვენ რა შემთხვევაში ჩუმდებით ან იყენებთ სიჩუმის ძალას?

მომავლად  
ხათუნა ბანაშვილი





# „დედამინის ზურბზე არსად არ არის ჩვენი სამოქალაქო მრავალფეროვანი და ლამაზი ქვეყანა“...



თუმცა, სხვა განხრით (ფსიქიატრია), მაგრამ სამედიცინო წრეებთან წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ურთიერთობასა და ნდობას ქართველი პაციენტების სასიკეთოდ იყენებს. დახმარება კი ბევრი მიმართულებით სჭირდებათ აქედან ჩასულ ავადმყოფებს, დაწყებული იურიდიული საკითხებიდან, სოციალური და წმინდა მატერიალური დამთავრებული. სხვათაშორის, ალმანახის ყოველი გამოცემული ტირაჟიდან მცირე ნაწილი ყოველთვის ვუგზავნი „აისს“, რომელიც მას სხვადასხვა შეხვედრებზე ყიდის და ამ თანხასაც ქართველი პაციენტების დასახმარებლად იყენებს. ეს, შეიძლება ითქვას, სიმბოლური თანხაა, მაგრამ ვისაც რითი შეგვი-

გაკვეთილებს როცა ატარებდა, პატარა ნიკოლოზს ნათლიას უტოვებდა ხოლმე. ეს შეხვედრა კუნძულ ბიუკადაზე მოხდა, რომელიც ასევე საოცარი ადგილია, ეკოლოგიური(და არა მარტო) სისუფთავითაც, განსხვავებით სტამბულისაგან, რომელიც დანაგვიანების ხარისხით საქართველოს თუ არ აჭარბებს, ნამდვილად არ ჩამოუვარდება; ამ კუნძულზე შიგანის ძრავის ხმარებაც კი აკრძალულია. გადაადგილება ცხენებზე ფაქტობრივად და, ძირითადად, სამთვლიანი ელექტროველოსიპედებითა და ელექტრო მოპედებით ხდება. კუნძულის ყველაზე მაღალი მთა კი გვირგვინდება წმ. გიორგის სასწაულთმოქმედი ხატის მქონე ბერძნული ტაძრით, აქ მუსულმანებიც ამოდიან და თხოვნას ფურცელზე წერენ და მინის ყუთში აგდებენ, თხოვნის აღსრულების შემდეგ კი გვერდზე მდებარე მეორე მინის ყუთში სასურველ შესანიშნავ გოგონებს, თუმცა, შეწირვა თავიდანვე შეიძლება, თუ სურვილი გაქვთ. ამ მთიდან შესანიშნავი ხედი იშლება, მოსჩანს არა მარტო მთელი კუნძული, არამედ სხვა კუნძულებიც, სტამბული და ზღვა. კუნძულზე არსებული სახლებიც ლანდშაფტთან შერწყმული შესანიშნავი არქიტექტურით გამოირჩევა და თითქმის მთლიანად ყვავილნარშია ჩაფლული.

ემრეფ ილმაზიც შემპირდა თავისი ნაწარმოებების მონოდებას, თუმცა, დღეისათვის რა მასალაც უკვე ხელთა მაქვს, მასზე მოგახსენებ.

**– რა მსგავსება და განსხვავება ამ ორ ქვეყანას შორის? ვგულისხმობ ცხოვრების წესს, კანონისადმი დამოკიდებულებას და ეკონომიკურ სიტუაციას...**

– ჩემი თითქმის ათწლიანი ვიზიტი, ალბათ, არ იქნება საკმარისი ორი ქვეყნის მსგავსება-განსხვავების ფუნდამენტური შეფასებისათვის, მაგრამ, ერთი შეხედვით რაც შევნიშნე, მოგახსენებ: თურქები უფრო კანონმორჩილი ხალხია, ეკონომიკაც გაცილებით განვითარებულია, ამოქმედებულია როგორც მძიმე, ასევე მსუბუქი მრეწველობა(ჩვენგან განსხვავებით), თითქმის ყველაფერს ამზადებენ და ბევრი რამ საექსპორტოდაც გააქვთ. ყველა ცდილობს, დასაქმებული იყოს და ახერხებენ კიდევ, ასევე ცდილობენ კანონმდებლობითაც ხელი შეუწყონ ადგილობრივი წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას; მაგალითისათვის გეტყვი, თუ მობილური ტელეფონი თურქეთში არაა შეძენილი, სიმბარათის შეცვლით ის იბლოკება, რაც მომხმარებელს აიძულებს, რომ მობილური ტელეფონი მხოლოდ თურქეთში შეიძინოს.

რაც შეეხება მსგავსებას, თურქებიც კულინარიას დიდ ყურადღებას აქცევენ და გემრიელად მიირთმევა ქალაქის თითქმის ყველა კუთხეში შეიძლება. ასევე თვალში საცემია ახალგაზრდების პატივსაცემი დამოკიდებულება უფროსებისადმი, მაგალითად, მეტროთი მგზავრობისას თითქმის ყოველთვის უთმობენ ადგილს უფროსებს, რაც შესაბამის აღზრდაზე მეტყველებს.

**– როგორია იქ ქართველი ემიგრანტების ყოფა?**

– ემიგრანტის ყოფა, რაც არ უნდა კარგად იყოს უცხო ქვეყანაში, მაინც ყოველთვის მძიმეა. საყვარელ ადამიანებთან და სამშობლოსთან სიმორე ძნელი გადასატანია. ამიტომ, ყველა ემიგრანტს ვუსურვებ, რაც შეიძლება მალე დაბრუნებულიყოს სამშობლოში და საქართველოს ვუსურვებ ღირსეული პირობების შექმნას შეილების დასაბრუნებლად. დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ დედამინის ზურგზე მაინც არსად არ არის ჩვენი სამშობლოზე მრავალფეროვანი და ლამაზი ქვეყანა. გვფარავდეს ჩვენი მეოხი ყოველდღივად ღვთისმშობელი, რომლის დღესასწაულსაც. ღვთისმშობლის მიძინებას, უახლოეს დღეებში - 28 აგვისტოს, აღნიშნავს ჩვენი ქვეყანა და ეკლესია და ამით მთავრდება მარიამობის მარხვა, რასაც წინასწარ გილოცავთ, ძვირფასო თანამოძმენო, საქართველოშიც და უცხოეთის ცის ქვეშ მყოფთაც!

**ესაუბრა ინბა შიოლაშვილი**

ცოტა ხნის წინ ლიტერატურული ალმანახის „სორნაბუჯი“ რედაქტორი გიორგი ნატროშვილი იმყოფებოდა თურქეთში, სადაც მოხდა მისი შურნალის პრაზნატა... თანამედროვე ქართველი ლიტერატორების შემოქმედებას თურქეთში მცხოვრები ჩვენი

ძლია, იმით უნდა შევენიოთ მოყვასისთვის სასიკეთო საქმეს.

**– როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე სახელმწიფომ, რომელიც რამდენიმე ათეული წლის წინ ჯერ ისევ „კავისა და გუთნის“ ქვეყანა იყო?**

– მთელ თურქეთზე თუ სტამბულის



ემიგრანტები და იმპური ქართველები გააცნა. თურქეთში მოგზაურობისა და შთაბეჭდილებების შესახებ თავად გიორგი გვასაუბრება.

**– გიორგი, თქვენ იმყოფებით თურქეთში, სადაც მოხდა თქვენი შურნალის – „სორნაბუჯი“-ს მეშვიდე ნომრის წარდგენა. ვისი ინიციატივა იყო ეს?**

– ჩემთან შეხვედრის ინიციატორი იყო დახმარებისა და თანადგომის ქართული ასოციაცია „აისი“ და უშუალოდ მისი ხელმძღვანელი მელანი თურქმენი (მეუღლის გვარზეა, თავისი გვარი ბერაძეა). ლიტერატურულ ალმანახ „სორნაბუჯის“ მე-7 ნომერი ახალი გამოცემული იყო, ივლისში დაიბეჭდა და რადგან ჩემთან შეხვედრა დაგეგმილი იყო 28 ივლისს და ალმანახის მცირე ნაწილიც უნდა ჩამეტანა საჩუქრად, მისი ერთგვარი პრეზენტაციაც სტამბულში მოხდა.

**– ორიოდე სიტყვით მოგვიყვით ასოციაცია „აისის“ შესახებ...**

– დახმარებისა და თანადგომის ქართული ასოციაცია „აისი“ ეხმარება საქართველოდან თურქეთში სამკურნალოდ ჩასულ ონკოლოგიური დაავადების მქონე ავადმყოფებს. თავად მელანიც ექიმია,

მაგალითით ვიმსჯელებთ (თუმცა ეს ალბათ არ იქნება მართებული, რადგან ის, ყოველმხრივ უნიკალური ქალაქია, თუნდაც იმით, რომ მეტად სტრატეგიულად იგეგმება და ორ კონტინენტზე მდებარეობს), შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა სწრაფი ტემპით ვითარდება, განსაკუთრებით თვალში საცემია ულტრათანამედროვე არქიტექტურის ახალი მშენებლობები, რომლებიც სოკოებივით აქა-იქ ყოველდღე ყოფენ თავს; თუმცა, ბოლო პერიოდის ინფლაციამ თურქეთის ეკონომიკასაც დაასვა დაღი.

**– განსაკუთრებული ემოცია, რომელიც თურქეთში ყოფნისას მიიღეთ...**

– თვეების უნახავ მეუღლესთან, ქეთევან მწყერაძესთან შეხვედრაზე თუ არაფერს ვიტყვით, ამ შეხვედრაზე მის წიგნზეც - „კახეთში მოღვაწე ქორეოგრაფები“, ვისაუბრეთ, ემოციური იყო შეხვედრა შუქია ნათლიასთან (ამ მოგზაურობის დროს უმცროსი ქალ-ვაჟი, ეკატერინე და ნიკოლოზი, მახლდა თან), რომელიც უმცროსი ვაჟის ნიკოლოზის ნათლიაა და ფაქტურად მისი გაზრდილია, რადგან ჩემი მეუღლე წლების განმავლობაში დედოფლისწყაროშიც ქორეოგრაფად მუშაობდა,

ლი თურქი მწერლების - ქეთი ხანთაძის (ქვესერ რუჰი) და ფარნა-ბექა ჩილაშვილის (ფაჰრეთინ ჩელოლილე) შემოქმედებას (რაც სწორედ თქვენს კითხვას პასუხობს), და ასევე ქეთი ხანთაძის მოთხრობის - „სიხარულის გარდა სხვა არაფერი“, ნანა კაჭარავასეული ახალი თარგმანი. ბატონი



# ნარკოტიკი და ავტომობილის მართვა

შსს-მ ნარკოტიკით 74 მძღოლი გადაამონმა, რომელთაგან 34 შეთხვევაში ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მართვა დადასტურდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსის“ მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გამოთხოვილ ოფიციალურ ინფორმაციაშია ნათქვამი. სააგენტო შსს-სგან დაინტერესდა იმ ნარკოტიკების გამოყენების შედეგებით, რომელიც რამდენიმე თვის წინ ამოქმედდა და რომლითაც მძღოლის მარბიხუნას და სხვა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დადგენა ადგილზე, ექსპერტიზის ბიუროში გადაყვანის გარეშეა შესაძლებელი. „მიმდინარე წლის 1-ელი ივნისიდან 29 ივლისის ჩათვლით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოტიკების საშუალებით გადაამონეს 74 პირი, რომელთაგან 34-ს დაუდგინდა ავტომობილის მართვა ისეთი ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედებით ქვეშ, როგორცაა: ამფეტამინი, მეტამფეტამინი, კოდეინი, მორფინი, ჰეროინი და სხვ. გადაამონება ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ახალი რედაქციის შესაბამისად, რომელიც 2019 წლის 1-ელი აპრილიდან შევი-

და ძალაში და რომლის მიხედვითაც, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა გახდა სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც ჯარიმას ან 1 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, საქართველოს გზებზე ადმინისტრირების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფებში დაინერგა ნარკოტიკული, ფსიქოტროპული და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის ფაქტების გამოვლენის ახალი მექანიზმი. კერძოდ, ნარკოტიკებისთვის დამახასიათებელი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, პატრულინსპექტორის მიერ, სპეციალური ნარკოტიკების საშუალებით ადგილზე ხდება მძღოლის გადაამონება. ზემოქმედებული პროცედურა, ნარკოტიკების დადებითი პასუხის შემთხვევაში, ასევე განსაზღვრავს ნარკოტიკული ნივთიერების ტიპსაც და ადასტურებს, რომ მძღოლი ნამდვილად იმყოფება ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ. ამასთან, აღნიშნული მექანიზმი, ნარკოტიკით


გადაამონების პროცედურის სანდოობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ითვალისწინებს მძღოლის განმეორებით, კლინიკურად შემოწმებას კვალიფიციური ექსპერტის მიერ, მათ შორის ლაბორატორიული კვლევის საშუალებით“, - ნათქვამია „ინტერპრესნიუსის“ მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გამოთხოვილ ინფორმაციაში. ამასთან, უწყების განმარტებით, მთელი საქართველოს მასშტაბით, ახალი მექანიზმის დანერგვის მიზნით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხორციელდა სამინისტროს იმ თანამშრომელთა გადამზადება, რომელთა კომპეტენციაშიც შედის ნარკოტიკების გამოყენება, შედეგების დაფიქსირება და სამართლებრივი შეფასება, ასევე, შესაბამისი ნორმატიული ბაზის შემუშავება/და-



მტკიცება. „შესაბამისად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამსახურთან ერთად, სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფართომასშტაბიანი ადმინისტრირების ღონისძიებებს მიმდინარე წლის ივნისიდან ახორციელებს, მას შემდეგ, რაც საქართველოს ყველა რეგიონში დასრულდა გადაამონების პროცედურა“, - აღნიშნავენ უწყებაში.

## ბათუმში, ღამის კლუბში მიღებული ინტოქსიკაციის შედეგად, 22 წლის ახალგაზრდა დაიღუპა

ბათუმის ბუღვარის ერთ-ერთი ღამის კლუბიდან ინტოქსიკაციის შედეგად რამდენიმე ახალგაზრდა 19 აგვისტოს, გამთენიისას, საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათგან ერთი, 22 წლის ბიჭი გარდაიცვალა. გავრცელებული ინფორმაციით, კლუბში მასობრივი ინტოქსიკაცია მოხდა, რაც, სავარაუდოდ, ნარკოტიკულმა საშუალებებმა გამოიწვია და მედიკოსების დახმარება ათეულობით ახალგაზრდას დასჭირდა. თუმცა, საინფორმაციო საშუალებებს ბათუმის სასწრაფო დახმარების ცენტრმა ინფორმაცია არ დაუდასტურა. 22 წლის ბიჭის გარდაცვალების ფაქტი ბათუმის მედიცინურში დაადასტურეს. კლინიკაში ამბობენ, რომ ის კომატოზურ მდგომარეობაში დილის 05:00 საათზე მიიყვანეს, 12 საათის განმავლობაში იმყოფებოდა მართვით




სუნთქვაზე, რის შემდეგაც, გულ-სისხლძარღვთა უკმარისობით გარდაიცვალა. კლინიკაში ამბობენ, რომ გარდაცვლილს ჩაუტარდა ექსპერტიზა და ექსპერტიზის პასუხის შემდეგ გახდება ცნობილი ინტოქსიკაციის ზუსტი მიზეზი. კლინიკა ამ ეტაპზე ნარკოტიკის მოხმარების ფაქტს არ ადასტურებს. ბათუმის მედიცინურში ასევე განაცხადეს, რომ გარდაცვლილთან ერთად იმავე კლუბიდან ორი გოგონაც მიიყვანეს, თუმცა, მათ ალკოჰოლური ინტოქსიკაცია აღენიშნებოდათ. ისინი მდგომარეობიდან გამოვიდნენ და საავადმყოფოდან გაეწერნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.



**გ ა ს ს ე ნ ე შ ა**

**გიორგი კვინინაშვილი**

„წმინდა გიორგი, საქართველოს ხათლის მხედარი, ფერისცვალების მაღალ მთაზე დაგვიღვამს კარავს“.



ისევ მოვიდა 26 აგვისტო, შენი დაბადების დღე. გილოცავთ, ჩვენი ლამაზო ბიჭო. სულითაც ლამაზი იყავი, კეთილი, გონიერი, უბოროტო, არც ოუმორი გაკლდა, ყოველთვის მოლიმარი. ამბობენ, დრო მკურნალიაო, არ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას, ეს სიტყვები დარდის შესამსუბუქებლად უთქვამთ. პირიქით, შექმნილი რეალობა გვაიძულებს შევეგუოთ ყოველივეს. ფიზიკურად ვერ გხედავთ, მაგრამ არასოდეს გვაიწყნებდები. არ არსებობს დღე, ხეიჩა მასწავლებელმა შენზე არ ისაუბროს. სხვადასხვა ეპიზოდებს იხსენებს შენი ცხოვრებიდან. ასეთი მოსაგონარი კი რამდენი იქნება 12 წლიანი ურთიერთობის განმავლობაში. ანსამბლ „იმედის“ დაარსების დღიდან დარბაზში იყავი, თავდაუზოგავად ვარჯიშობდი, ბევრს შრომობდი, ამიტომაც ძლიერი და ტექნიკური მოცეკვავის სახელი დაიმკვიდრე. ბევრი ღონისძიების მაყურებელს ახსოვს შენი ლამაზად და პროფესიონალურად შესრულებული ცეკვა. შექმნილმა მდგომარეობამ ბევრ რამეზე დაგვაფიქრა, გიო, რომ სამყარო უსასრულოა. რა გვინდა საერთოდ ამ დედამიწაზე, რისთვის მოვდივართ, რა ფუნქცია გვაქვს, ან სად მივდივართ. ნეტავ იცოდე, ამ პატარა ბიჭს რამხელა წარსული გაქვს. შენი სიცოცხლის მცირე მონაკვეთშიც კი დაუსრულებლად ბევრი შეგვიძლია ვილაპარაკოთ შენზე, როგორც უკვე ყველანაირად შემდგარ პიროვნებაზე. და თუ დღეს, ისევ ასეთი სითბოთი და სიყვარულით ვსაუბრობთ და ბევრი გვაქვს მოსაყოლი, შენ გვაძლევ ამის მიზეზს, შენ იმსახურებ ამ ყველაფერს. გვეამაყება, რომ გიცნობდით, ბევრისთვის მაგალითის მიმცემი იყავი. ანსამბლში მოსული პატარები ვერ გცნობენ, მაგრამ ბევრი კარგი და დადებითი იციან შენს შესახებ, თან ცდილობენ მოგბაძონ ადამიანობასა და ცეკვაში. უფალოც იმას მოუხმობს თავისთან, ვინც გამორჩეულად უყვარს. კაცურად იცხოვრე, წმინდა იყავი და ღმერთმაც, ალბათ, ამიტომ გიხმობ, თუმცა, ვერ ვეგუებით ამ რეალობას. შენთვის ძვირფასი ადამიანები, ნაცნობები, ანსამბლის წევრები კულტურის სახლში შევიკრიბეთ. სურათიდან მომლიმარი შენი სახე ძალას გვაძლევდა. ვგრძნობდით, ისევ ჩვენს გვერდით იყავი. ხეიჩა მასწავლებელს ხშირად უთქვამს, გიო ჩემი მოუშუშებელი ტკივილიაო, სწორედ ამ ტკივილის შესამსუბუქებლად შედგა ეს საღამო. შენს საპატივსაცემოდ ანსამბლს სახელი შევუცვალეთ. დღეიდან „გიორგელები“ ჰქვია. ამ სახელით პირველად მიიღო მონაწილეობა ქობულეთში გამართულ ქორეოგრაფიულ ფესტივალში და დიდი მონონებაც დაიმსახურა. ყოველთვის გვახსოვხარ, გვიყვარხარ, გვენატრები და ამ მონატრებას გიორგი კვინინაშვილი ჰქვია. ვფიქრობთ, რომ სიკვდილი ყოველთვის არ ნიშნავს დასასრულს. კიდევ ბევრი გეგმები გვაქვს „გიორგელებს“, რის გამოც შენი სახელი და გვარი სამარადუალოდ უკვდავი იქნება. ნათელში იყავი, ჩვენი ძვირფასო, ღმერთს ებარებოდე. კურთხეულ იყოს ის გზა, რომელიც წინ გაქვს გასაველელად.

**ანსამბლ „გიორგელების“ ქორეოგრაფი ხეიჩა ზუზიაშვილი, ანსამბლის წევრები და მშობლები**

# კლიმატის ცვლილების ეფექტებმა ობობები უფრო აგრესიული გახადა

კლიმატის დრამატულ ცვლილებას მრავალი ისეთი უარყოფითი გვერდითი ეფექტი აქვს, რომელსაც ვერც წარმოვიდგენდით. ახლახან, მეცნიერებმა ერთ-ერთ სწორედ ასეთ ეფექტს მიაგნეს - ძლიერ გაღიზიანებულ ობობებს.

გამთბარი კლიმატის გამო გახშირდა ტროპიკული შტორმები, გაიზარდა მათი სიძლიერეც. მეცნიერები ასევე პროგნოზირებენ, რომ გაიზარდება „შავი გედის“ სახელით ცნობილი ამინდის ფენომენები. ასე უწოდებს იმიტომ, რომ ეს მოვლენები უპრეცედენტოა თავიანთ სიძლიერით.

ობობის ყველაზე მყარ ქსელში ახალი ცილა აღმოაჩინეს

როგორც ჩანს, როცა საქმე ეხება სოციალურ ობობებს, უფრო აგრესიული ისინი არიან, რომლებიც ბობოქარ ამინდს გადაურჩნენ და გამოდინარე აქედან, თავიანთ თვისებებს შემდეგ თაობებს გადასცემენ.

ევოლუციური ბიოლოგის, ჯონათან პრუიტის განცხადებით, უმნიშვნელოვანესია გავიგოთ ასეთი „შავი გედი“ ამინდის გავლენები ევოლუციასა და ბუნებრივ გადარჩევას.

მისი თქმით, ზღვის დონის მატყბასთან ერთად, იზრდება ტროპიკულ შტორმთა სიხშირე. ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა შევისწავლოთ ამ შტორმების ეკოლოგიური და ევოლუციური გავლენები ცხოველებზე.

კონკრეტული ობობა, რომელზეც ამ ყველაფერმა უკვე მოახდინა გავლენა, არის არაქინდი სახელად *Aneides* სტუდისუსი. ბინადრობს ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, მათ შორის აშშ-ი აღმოსავლეთ სანაპიროსა და მექსიკის ყურის სანაპიროებზე, სადაც მისი დანიშნულება ხშირია ატლანტის ოკეანიდან მოსული ტროპიკული ციკლონები.

როგორც წესი, ეს ობობები კოლონიურად ცხოვრობენ სამგანზომილებიან აბლა-

ბუდებში. ტბებისა და მდინარეების თავზე ჩამოკიდებულ თითოეულ ასეთ აბლაბუდაში ხშირად რამდენიმე ასეული მდედრი ბინადრობს.

ობობა, რომლის ქსელიც ფოლაზე ხუთჯერ მტკიცეა - მეცნიერებმა მიზეზი გაარკვეეს

თუმცა, ისინი არც თუ ისე მეგობრულები არიან იგივე სივრცეში ბინადარი სხვა პატარა ობობების მიმართ. სახეობისათვის დამახასიათებელია ქცევის ორი განსხვავებული ქცევითი ფენოტიპი. ზოგიერთი ობობა უფრო ტოლერანტული და მშვიდია, ზოგი კი აგრესიული. ხშირად მათ ერთმანეთის გვერდით უწევთ ცხოვრება ერთ კოლონიაში. რაც უფრო მეტი აგრესიული ობობაა კოლონიაში, უფრო აგრესიულია მთლიანად კოლონიაც.

რაც მთავარია, მათი ეს აგრესია მემკვიდრეობითია.

უფრო აგრესიული ობობები უფრო სწრაფად პასუხობენ როგორც მტაცებლებს, ისე მსხვერპლს, მაგრამ თავს ესხმიან საკუთარი სახეობის წარმომადგენლებსაც, ჭამენ საკუთარ კვერცხებსა და სახეობის მამრ ობობებს.

როგორც მეცნიერები კვლევაში წერენ, *A. Studiosus*-ის ობობებში კოლონიის აგრესიულობა მემკვიდრეობით გადაეცემა მშობლიდან მდედრ შვილს, რაც უმთავრესი განმსაზღვრელია შაბიტატში ობობის გადარჩენისა და ნაყოფიერებისათვის. მკვლევართა დასკვნით, აგრესიულობა ობობებში დაკავშირებულია შაბიტატის რესურსებთან, რაც ასევე იცვლება ტროპიკულ ციკლონთა საპასუხოდ.

მომაკვდინებელი, ნამლებსადმი რეზისტენტული სოკოვანი ინფექციის გამოჩენა შესაძლოა, კლიმატის ცვლილებასთან იყოს კავშირში

იმის გასარკვევად, აქვს თუ არა ამ შტორმებს გავლენა ობობების აგრესიუ-

ლობაზე, მკვლევრები წინასწარ პროგნოზირებულ შტორმს უცდიდნენ, რომლის დადგომისთანავე შეისწავლეს რამდენიმე კოლონია. შტორმის დასრულებიდან 48 საათის შემდეგ, ისინი ადგილზე დაბრუნდნენ და კოლონიები კვლავ შეისწავლეს.

მეცნიერებმა ასევე ჩაინერეს თითოეულ კოლონიაში არსებული კვერცხებისა და ახალგაზრდა ობობების გადარჩენის მაჩვენებლები. საერთო ჯამში, 2018 წელს ჯგუფმა შეარჩია სამი დიდი ციკლონი და შეისწავლა 240 კოლონია; მათგან ზოგიერთი შტორმმა დააზიანა, ზოგიც მისი ზონის მიღმა მდებარეობდა.

თავდაპირველი დარტყმის შემდეგ, კოლონიაში გადარჩენის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო, 75,42 პროცენტი. საერთო ჯამში, გრძელვადიან პერსპექტივაში, შემცირდა კვერცხის დებისა და ახალგაზრდა ობობების გადარჩენის მაჩვენებელი. თუმცა, ეს მაჩვენებელი თანაბარი არ იყო აგრესიულ და მშვიდობიან კოლონიებს შორის.

კლიმატის ცვლილებამ ადამიანთა ცივილიზაცია ამჟამინდელი ფორმით შესაძლოა, 2050 წლისთვის დაასრულოს - ახალი კვლევა

კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ შტორმის შემდეგ, ზამთრის დასაწყისში, უფრო აგრესიულ კოლონიებში მაღალი იყო კვერცხის დებისა და ახლად გამოჩე-



კილი ობობების გადარჩენის მაჩვენებელი. თუმცა, საპირისპირო ხდებოდა სხვა კოლონიებში.

მკვლევართა განცხადებით, ასეთი ტენდენცია შეინიშნებოდა ზომით, ხანგრძლივობითა თუ სიძლიერით განსხვავებულ მრავალ სხვადასხვა შტორმში. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ასეთი ეფექტები სულაც არ არის უჩვეულო და წარმოადგენს მტკიცე ევოლუციურ პასუხს.

ამ ყველაფრის ზუსტი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ აშკარაა, რომ რაღაც გავლენა ნამდვილად აქვს შტორმის შემდეგ საკვების შემცირებას. რა თქმა უნდა, უფრო აგრესიული უნდა იყვნენ მეტოქე ობობის სახეობებიც, რათა კოლონია დამპყრობლებისგან დაიცვან.

საბოლოო ჯამში, მკვლევრები აღნიშნავენ, რომ რადგან დედა ობობები ზედმეტად დაკავებული არიან საკვების მოპოვებითა და რესურსების დაცვით, რაც მათ ნაშვირებს იძულებულს ხდის განუვითარდეთ გადარჩენის ძლიერი უნარები. კვლევა გამოქვეყნდა ჟურნალ Nature-ში.

## საოკუპაციო რეჟიმმა საქართველოს კიდევ ორი დაკავებული მოქალაქე გაათავისუფლა

საოკუპაციო რეჟიმმა საქართველოს კიდევ ორი დაკავებული მოქალაქე გაათავისუფლა. ამის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს.

როგორც უწყებაში აცხადებენ, ბოლო დღეების განმავლობაში უკანონოდ დაკავებული, გორის მცხოვრები 18 წლის ცოტნე ქობულაშვილი და გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინისის მცხოვრები 24 წლის გიორგი ზანგურაშვილი ამ დროისთვის ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებიან და მათ საფრთხე არ ემუქრებათ.

ცოტნე ქობულაშვილის დაკავებისა და ე.წ. სასამართლოს მიერ მისთვის ჯარიმის

შეფარდების შესახებ სააგენტო „რესმა“ 21 აგვისტოს გაავრცელა ინფორმაცია. დღეს კი იგივე სააგენტო გიორგი ზანგურაშვილის დაკავებისა და ჯანმრთელობის პრობლემების გამო ჯარიმის გარეშე მისი გაათავისუფლების გადაწყვეტილების შესახებ იუწყებოდა. დე ფაქტო უსაფრთხოების კომიტეტის ინფორმაციით, ორივე მათგანი ე.წ. საზღვრის დარღვევის გამო იყო დაკავებული.

საოკუპაციო რეჟიმმა საქართველოს მოქალაქეები გასულ კვირაშიც გაიტაცა - სოფელ ახალუბნის 7 მცხოვრები 17 აგვისტოს, სოფელ დიდი მეჯვრისხევის ერთი მკვიდრი კი 18 აგვისტოს დააკავეს. გატაცებულები 20 აგვისტოს გაათავისუფლეს.

## 3 ა კ ა ნ ს ი ა !

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდა ლია კონკურსი შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი.
2. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის საკითხებში.
3. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი შრომის,

სოციალური, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებში.

4. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეთხვე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი სოფელ ხორნაბუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში.

განცხადებების რეგისტრაცია წარმოებს ელექტრონულად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე [www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)

განცხადებების რეგისტრაციის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 28 აგვისტოს ჩათვლით.

## ულოცავენ! ლილა ნაპროზაშვილს! ნოდარ ფიროსთანაშვილს!

გულითადად გილოცავთ მესამე შეილიშვილის ნიკოლოზ ფიროსმანაშვილის დაბადებას. სახელოვანი ვაჟკაცი გაზრდილიყოს თავის დაიკოებთან ანამარიასთან და ლიზისთან ერთად.

მათი მშობლები - ლიკა და ილია, მამიდა ნინო და ბიძა ვასიკო გახარებული იყვნენ მათი წარმატებებით. თქვენ კი, უკვე სამგზის პაპა-ბებიას, უმრეტე ენერგიას, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას გისურვებთ,

რათა დატკბეთ თქვენი შრომით შექმნილი დიდი ოჯახის სიხარულით.

ქალბატონო ლილა, აქვე გვინდა, მაღლობა გადაგიხადოთ ჩვენი ასოციაციის მიერ გამართულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის.

პატივისცემით, ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მნიშვნელოვანი ასოციაცია.

## ი ყ ი დ ე ბ ა ! ყურადღება!

ქ. დედოფლისწყაროში იყიდება 2 ოთახიანი, გარემონტებული ბინა-ლოჯით, სარდაფით და ავტოფარეხით. გამოდგება საოფისედაც. მისამართი: რუსთაველის ქ. №36, კორპუსი 40, ბინა 13, 1 სართული. ფასი 19 000\$. (ფასზე შეთანხმება შესაძლებელია). 599 855832

იყიდება საჯარო რეესტრის მალა II სართულზე სამოთახიანი (გადაკეთებულია ოთხოთახიანად) სუფთა ბინა მუხის პარკეტით და შეცვლილი კარ-ფანჯრებით. გვერდით ერთოთახიანის ყიდვის პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. დანერგვითი ინფორმაციისთვის დარეკეთ 591092478

ვასრულებ ავტომობილების სამღებრო სამუშაოებს ხარისხიანად და შელავათიან ფასებში. მობრძანდით ნატროშვილის ქუჩაზე მდებარე ავტოსამღებროში (დედოფლისწყაროს მუნიციპალური საავადმყოფოს წინ). 558232547 იკითხეთ ლაშა

ა მ ი ნ დ ი		დ ე დ ო ფ ლ ი ს ც ყ ა რ ო	
ორშაბათი 26.08 დღე	სამშაბათი 27.08 ღამე	ოთხშაბათი 28.08 დღე	ხუთშაბათი 29.08 ღამე
26°	24°	23°	19°
24°	20°	23°	19°
24°	20°	17°	14°
20°	13°	16°	15°

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს უპასუხებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ჭანჭავაძე (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჭანჭავაძე (ოფის-მენეჯერი); მზინა მინაშვილი (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.	რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
---	--	--	---